



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



**CAUCASUS**  
SWISS AGRICULTURAL SCHOOL

# პრაქტიკული ტრენინგები სოფლის მეურნეობაში

## სახელმძღვანელო

მსხვილფეხა ცხოველთა ჯანმრთელობა

2

წინამდებარე სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ გაწეული დახმარების შედეგად. კუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის შეხედულებებს.

# ვეტერინარული მედიკამენტების სწორი მართვა და გამოყენება



ინვენტარის სია						
წელი	ნომერი	საწარმოს საბეჭდო დეტალები			ცხოველი	
შუქუნის თარიღი	მედიკამენტის საბეჭდო დეტალები	რაოდენობა	გამცემი ვეტერინარი	წამლის განადგურება/დაბრუნება		
				თარიღი	პირი	რაოდენობა

*ამ თავში მედიკამენტების სწორ მართვას და გამოყენებას შეისწავლით*

პრაქტიკაში შექმნილი კომპეტენციის გამოყენება, მაგალითად, შემდეგ სიტუაციებში შეგიძლიათ

**სიტუაცია 1**    თქვენ შეგიძლიათ ფერმის აფთიაქის შემოწმება და კონტროლი

**სიტუაცია 2**    თქვენს ძროხას ლაქტაციის ბოლოს მომატებული სომატური უჯრედების რაოდენობა აღენიშნება, თუმცა არ აქვს ცურის მწვავე ანთება. თქვენ შეგიძლიათ ძროხებს გამშრობი მედიკამენტები მისცეთ და მათი გამოყენების შესახებ სწორი ჩანაწერები გააკეთოთ

# 1 ფერმის პირველადი დახმარების ნაკრები

ვეტერინარული სამკურნალო საშუალებები უნდა ინახებოდეს ისე, როგორც ეს მითითებულია წამლის შესაბამის ინფორმაციაში (მაგ. სიმშრალე, მაცივარი და ა.შ.). გარდა ამისა, ისინი არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი არაავტორიზებული პირებისთვის, როგორცაა ბავშვები. ვეტერინარული მედიკამენტები მოწესრიგებულად უნდა ინახებოდეს ცალკე, ანუ საკვებისგან ან სასუქებისგან განცალკევებით

ამრიგად, ვეტერინარული მედიკამენტების შენახვის ორი ადგილია:

- ჩაკეტილ ყუთში, მშრალ ადგილას ტემპერატურის მცირე რყევებით, ანუ მზის პირდაპირი სხივებისა და ზამთარში ყინვის გარეშე.
- ფერმის მაცივარში მოთავსებულ ჩაკეტილ შიდა ყუთში ან მაცივარში გასაგებად მონიშნულ ადგილას.



არასწორად შენახულმა წამლებმა შეიძლება დაკარგოს ეფექტურობა ან შეიცვალოს თვისებები

## 1.1 ძირითადი აღჭურვილობა

ფერმის აფთიაქის აღჭურვის დროს, ჯერ ძირითადი აღჭურვილობა უნდა შეიძინოთ

ფერმის აფთიაქის ძირითადი აღჭურვილობა

- მარკირების კალამი
- მაკრატელი
- თერმომეტრი
- ჭრილობის სამკურნალო მედიკამენტები (სპრეი, მალამო)
- ინსტრუმენტების სადეზინფექციო საშუალება
- სადეზინფექციო საშუალება
- ინვენტარის სია
- მკურნალობის ჟურნალი

### ინვენტარის სია

ინვენტარიზაციის სია შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რეცეპტით გაცემული რამდენი ვეტერინარული მედიკამენტი მარაგში და რამდენი იქნა გამოყენებული. ინვენტარის ჟურნალი და

მკურნალობის ჟურნალი მკურნალობის ჟურნალი აღრიცხავს ცალკეული ცხოველის ან ცხოველთა ჯგუფის მკურნალობას ვეტერინარული მედიკამენტებით.

**1.1 სპეციფიური აღჭურვილობა**

ფერმის აფთიაქში შემავალი წამლები საწარმოს სპეციფიკაზეა დამოკიდებული. არსებობს დამატებითი ინსტრუმენტები და მედიკამენტები, რაც დამოკიდებულია ცხოველის სახეობაზე იდეალურ შემთხვევაში, ისინი უნდა ინახებოდეს აფთიაქში გამოყენების არეალის მიხედვით

**დამატებითი აღჭურვილობა ფერმაში**

ცურის ჯანმრთელობა	მონელება	ჩლიქები	მშობიარობა
<ul style="list-style-type: none"> <li>მასტიტის ტესტის ჯამი და სითხე</li> <li>ცურის ჩასაწობი სითხე და თასი</li> <li>ცურის მალამო</li> <li>ინჯექტორები/შპრიცები (შეინახეთ მაცივარში, როგორც გადაუღებელი საშუალება)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საჭმლის მომნელებელი წამლები/კუჭის ფხვნილი</li> <li>ღიარეის ფხვნილი/ღიეტური ფხვნილი</li> <li>გაზების საშუალება/კუჭის ზონდი/ტროკარი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ბამბა, სახვევები, სკოჩი</li> <li>ჩლიქების მალამო</li> <li>ჩლიქების დანა</li> <li>კანის მალამო</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სამშობიარო თოკები, ქამარი</li> <li>მედიკამენტები ახალშობილ ხბობებში სუნთქვის სტიმულირებისთვის</li> <li>კალციუმის გელი ან ფხვნილი</li> <li>ყაბის დანა</li> </ul>

**1.1 პირველი დახმარების ნაკრების შემოწმება და მოვლა**

კანონით მოთხოვნილი სიების გარდა, სასურველია შეინახოთ ყველა საჭირო ინსტრუმენტისა და მედიკამენტის ძირითადი სია. ამ სიის გამოყენებით შესაძლებელია აფთიაქის შიგთავსის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში მასალის დამატება.

აფთიაქი წელიწადში სამი-ოთხჯერ უნდა შეამოწმოს

**აფთიაქის პერიოდული კონტროლი**

1. გახსენით აფთიაქი და გაწმინდეთ ნესტიანი ქსოვილით.
2. ინსტრუმენტები და სამუშაო მასალები
  - საჭიროების შემთხვევაში გაწმინდეთ.
  - შეამოწმეთ რამდენად ფუნქციონირებს
  - შეადარეთ ინვენტარი ძირითად სიას და დაამატეთ/გამოცვალეთ დაკარგული ან გაფუჭებული ინსტრუმენტები
3. მედიკამენტები რეგვატის გარეშე
  - ვადაგასული პრეპარატები სათანადოდ გაანადგურეთ/გადაყარეთ.
  - შეადარეთ ინვენტარი ძირითად სიას და დაამატეთ/გამოცვალეთ დაკარგული ან გაფუჭებული მედიკამენტები
4. მედიკამენტები რეგვატით
  - შეადარეთ მედიკამენტები ინვენტარიზაციის სიას და მკურნალობის ჟურნალს.
  - თითოეულ მედიკამენტს უნდა ჰქონდეს ეტიკეტი გამცემი ვეტერინარისგან და გამოყენების წერილობითი ინსტრუქცია.
  - დაუბრუნეთ ვადაგასული პრეპარატები ვეტერინარს და ჩაწერეთ ინვენტარიზაციის სიაში.
  - შეადარეთ ინვენტარი ძირითად სიას და დაამატეთ/გამოცვალეთ დაკარგული ან გაფუჭებული მედიკამენტები
5. კვლავ დაალაგეთ აფთიაქი გამოყენების სფეროების მიხედვით.



მედიკამენტების მარაგი: რამდენადაც საჭიროა, მაგრამ რაც შეიძლება ნაკლები!

### შეიტანეთ მედიკამენტები ინვენტარის სიაში

ყველა რეცეპტით გაცემული მედიკამენტი, რომელიც ხელმისაწვდომია ფერმაში, მაგრამ ამჟამად არ გამოიყენება, უნდა იყოს შეტანილი ინვენტარიზაციის სიაში. როგორც ალტერნატივა, ასევე შეიძლება ინახებოდეს ვეტერინარისგან მიღებული ჩაბარების ქვითარი. თუ მედიკამენტები უბრუნდება ვეტერინარს ან წესების მიხედვით ნადგურდება, ეს ასევე უნდა იყოს დოკუმენტირებული ინვენტარიზაციის სიაში. ვეტერინარული სამკურნალო საშუალებების საინვენტარო ნუსხა უნდა ინახებოდეს სამი წლის განმავლობაში.

ფერმაში არსებული რეცეპტით გაცემული ყველა მედიკამენტი შეტანილი უნდა იყოს ინვენტარიზაციის სიაში.

ინვენტარის სია						
წელი	ნომერი	საწარმოს საბელწოდება		ცხოველი		
შექმნის თარიღი	მედიკამენტის საბელწოდება	რაოდენობა	გამცემი ვეტერინარი	წამლის განადგურება/დაბრუნება		
				თარიღი	პირი	რაოდენობა

### 2.2 მედიკამენტების შენახვა

მხოლოდ სწორად შენახული მედიკამენტები იძლევა გარანტიას, რომ ის გამოყენებისას სასურველ ეფექტს მიაღწევს. არასწორად შენახვის შემთხვევაში, მედიკამენტს შეიძლება ჰქონდეს არასაკმარისი ეფექტი ან გამოიწვიოს არასასურველი გვერდითი მოვლენები. ეს ასევე ეხება მედიკამენტის ვადის გასვლის თარიღს. ინფორმაცია შენახვის სწორი ადგილისა და გამოყენების ვადების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შეფუთვის ჩანართზე.

### 3 მედიკამენტების გამოყენება და გამოყენების დოკუმენტირება

#### მედიკამენტების გამოყენება

სანამ ცხოველს მედიკამენტს მისცემთ, ყურადღებით უნდა წაიკითხოთ მკურნალობის ინსტრუქციები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ გახსნის თარიღს და ვარგისიანობას. თუ მედიკამენტი გაცემულია რეცეპტით, გამოყენების ინსტრუქციის გარდა ასევე უნდა გაითვალისწინოთ ვეტერინარის დამატებითი ინსტრუქციები. მედიკამენტის გამოყენების შემდეგ, უნდა უზრუნველყოთ, რომ ფერმის ყველა თანამშრომელმა იცოდეს მკურნალობის დაწყებისა და დამთავრების პერიოდის შესახებ. ასევე მკაფიოდ უნდა დანიშნოთ ცხოველები, რომლებსაც მკურნალობთ.



ძალიან მნიშვნელოვანია იმ ძროხების დანიშვნა/მარკირება, რომლებსაც ვკურნალობთ. ამ გზით თავიდან აიცილებთ გაუგებრობებს.

#### მედიკამენტების ჯგუფები

##### ანტიბიოტიკები

ანტიბიოტიკები აქტიური ინგრედიენტებია ბაქტერიული ინფექციური პათოგენების წინააღმდეგ. მათ შეუძლიათ გაანადგურონ პათოგენები ან შეაფერხონ მათი რეპროდუქცია. არსებობს სხვადასხვა სახის აქტიური ინგრედიენტები სხვადასხვა თვისებებით. ყველაზე ცნობილი ანტიბიოტიკი არის პენიცილინი.

ანტიბიოტიკები წარმოიქმნება მიკროორგანიზმების მიერ და ემსახურება მათ დაცვას. მაგალითად, პენიცილინი მაგალითად ობისგან მიიღება მიერ. ხელოვნურად წარმოებულ ანტიბიოტიკებს ქიმიოთერაპიულ აგენტებს უწოდებენ.

ანტიბიოტიკები შეფუთვის ან ვეტერინარული ინსტრუქციის შესაბამისად მიიღება. თუ ანტიბიოტიკები ძალიან ხშირად ან არასწორი დოზით მიიღება, ბაქტერიები ანტიბიოტიკების მიმართ რუზისტენტულ ხდებიან.

##### ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებლები

გარეგანი გამოყენებისას, ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები და ტკივილგამაყუჩებლები ამცირებენ ანთების სიმპტომებს, მაგალითად, გაგრილებით, ტკივილის შემსუბუქებით ან შემუშების შემცირებით. შიდა გამოყენებისას მათ აქვთ სიცხის დამწვევი და ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი.

ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებლები ხელმისაწვდომია მალამოების, გელების, ფხვნილების და ინექციების სახით.

##### ჰორმონები

ჰორმონები არის ნივთიერებები, რომელთა მცირე რაოდენობაც კი ორგანიზმში ძალიან სპეციფიკურ რეაქციებს იწვევს და ამით ორგანიზმის ბევრ ფუნქციას არეგულირებს. ვეტერინარიაში ყველაზე კარგად ცნობილია ჰორმონები, რომლებიც აკონტროლებენ რეპროდუქციულ ფუნქციებს. ჰორმონების შემთხვევაში, არასწორი მკურნალობის რისკი საკმაოდ მაღალია. ამიტომ, ისინი უნდა დაინიშნოს მხოლოდ ვეტერინარის დიაგნოზის საფუძველზე.

ტერმინი ანტიბიოტიკები მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან ანტი = წინააღმდეგ და ბიოს = სიცოცხლე. ისინი მუშაობენ ბაქტერიების წინააღმდეგ, მაგრამ არა ვირუსების წინააღმდეგ.

##### მკურნლობაში მყოფი ძროხების რძე


ხბოს შეიძლება მივცეთ რძე, რომელიც საკვებად/გასაყიდად ჯერ კიდევ არ გამოვიყენებთ დედის მკურნალობის ვადების დაცვის გამო. თუმცა ეს უნდა ჩაიწეროს ხბოს მკურნალობის ჟურნალში იმგვარად, თითქოს ხბომ თავად მიიღო წამალი.

##### მკურნალობის ვადების დაცვა

მკურნალობის ვადების დაცვა ემსახურება გადამამუშავებელი მრეწველობისა და მომხმარებლების დაცვას. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, რძეში წამლის ნარჩენების აღმოჩენა ადარ შეიძლება ან არ აღემატება კანონით დადგენილ დონეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რძეში შემავალი ანტიბიოტიკები (ინჰიბიტორები) არღვევს ყველის წარმოებას და იწვევს არასწორ წარმოებას.

## პარაზიტების საწინააღმდეგო საშუალებები

ინგრედიენტებიდან გამომდინარე, პარაზიტების საწინააღმდეგო მედიკამენტები (ანტიპარაზიტები) მოქმედებენ ორგანიზმში არსებული ისეთი პარაზიტების წინააღმდეგ, როგორიცაა კუჭ-ნაწლავის ჭიები, ღვიძლის ჭიები, ფილთვის ჭიები, პროტოზოები, და გარე პარაზიტების წინააღმდეგ, როგორიცაა მუნის ტკიპა, ტილები, ბეწვის ტილები და ბუზის ლარვები. არსებობს შესასხურებელი, დასალევი ინექციისთვის ან ინექციური მედიკამენტები მოქმედების ხანგრძლივობა და ეფექტუბის სპექტრი განსხვავდება პრეპარატის მიხედვით. ანტიპარაზიტული პრეპარატების მიღებამდე უნდა გაანალიზოთ პარაზიტების სიმძლავრე და შესაბამისი ზომების მიღებით, მინიმუმამდე დაიყვანოთ იგი.



პარაზიტების საწინააღმდეგო ბოლუსების შეყვანის მოწყობილობა

## ვაქცინები

სხვა მედიკამენტებისგან განსხვავებით, ვაქცინები გამოიყენება არა ორგანიზმის სამკურნალოდ, არამედ ააქტიურებენ სხეულის იმუნურ სისტემას. ისინი გამოიყენება როგორც პროფილაქტიკური ღონისძიება ჯანმრთელ ცხოველებში. ვაქცინაცია ყოველთვის ტარდება ვეტერინართან შეთანხმებით.

## სადეზინფექციო საშუალება

სადეზინფექციო საშუალებები არის ინფექციური აგენტების საწინააღმდეგო ნივთიერებები და ჩვეულებრივ გამოიყენება გარედან, ცხოველის სხეულზე, მაგალითად, ცურის, კანის ან ჭრილობების დეზინფექციისთვის. სადეზინფექციო საშუალებები ხელმისაწვდომია სპრეის, სითხისა და მალამოების სახით და კლავს ან აზიანებს ბაქტერიებს, ვირუსებს და ზოგჯერ პარაზიტებსაც.

სადეზინფექციო საშუალებების უმეტესობა არ საჭიროებს ჩანაწერების გაკეთება, ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, ისინი ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ.

## ვიტამინები, დანამატები

ვიტამინები და დანამატები არის სასიცოცხლო აქტიური ინგრედიენტები, რომლებიც გადამწყვეტია მრავალი მეტაბოლური პროცესის სწორად ფუნქციონირებისთვის. ისინი მიეწოდება ცხოველს ბუნებრივი საკვები ინგრედიენტების ან საკვების დანამატების სახით, ძირითადად პირდაპირი კვების გზით. სირთულე მხოლოდ იმის გარკვევაა, თუ რომელი ვიტამინები ან დანამატები აკლია ცხოველს. ვიტამინებისა და დანამატების გაზრდილი საჭიროება იმის მანიშნებელია, რომ კვება არ არის წარმოების მოთხოვნილებების შესაფერისი

## ბუნებრივი საშუალებები

მცენარეული, ჰომეოპათიური და „მინაური საშუალებებით“ შეიძლება თავიდან ავიცილოთ დაავადების გავრცელება ან ხელი შევუწყოთ სამკურნალო პროცესს. სამკურნალო საშუალებების სწორად გამოყენების მიზნით, ცხოველის პატრონი კარგად უნდა იცნობდეს თავის ცხოველს, რათა ამოიცნოს ავადმყოფობის ან სისუსტის უმცირესი ნიშნებიც კი. სწორი საშუალების არჩევა ასევე მოითხოვს სამკურნალო საშუალებების კარგ ცოდნას. ნებისმიერ შემთხვევაში, სერიოზული დაავადებების ან ისეთი დაავადებების შემთხვევაში, რომლებიც ადეკვატურად არ რეაგირებენ ბუნებრივ საშუალებებზე, დროულად უნდა მიმართოთ ვეტერინარს.

